



მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი:	1 სექტემბერი, 2020 წელი
სესხის No. და დასახელება	სესხის No. 3441-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 6
კონტრაქტის No. და დასახელება	UWSCG-NCB-Goods-Individual Water Meters-2020 – წყლის მრიცხველების, წყლის მრიცხველის ყუთებისა და AMR გადამცემების შესყიდვა
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა	2020 წლის 2 ოქტომბერი, 15:00 (თბილისის დრო)

- საქართველომ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურებების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსებისათვის. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული პლანშეტების შესასყიდად. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნიებიდან წარმოდგენილპრეტენდენტებს.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) იწვევს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ელექტრონულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან წყლის მრიცხველების, წყლის მრიცხველის ყუთებისა და AMR გადამცემების შესყიდვის მიზნით.

საქონლისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების დეტალური აღწერილობაა:

	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	დიამეტრი	ერთეული	რაოდენობა
<b>1</b>	<b>წყლის მრიცხველები</b>			
1.1	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) PN16 (ერთჯავლიანი)	15მმ-ერთჯავლიანი	ცალი	4,000
1.2	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) დ-15 მმ, PN16 (მრავალჯავლიანი)	15მმ-მრავალჯავლიანი	ცალი	17,000
1.3	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) დ-20 მმ, PN16 (მრავალჯავლიანი)	20მმ	ცალი	800
1.4	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) დ-25 მმ, PN16 (მრავალჯავლიანი)	25მმ	ცალი	800

1.5	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) დ-32 მმ, PN16 (მრავალჭავლიანი)	32მმ	ცალი	800
1.6	წყლის მრიცხველი (გადამყვანი კომპლექტში) დ-40 მმ, PN16 (მრავალჭავლიანი)	40მმ	ცალი	800
1.7	წყლის მრიცხველი დ-50 მმ, PN16 (ტურბინული)	50მმ	ცალი	100
1.8	წყლის მრიცხველი დ-65 მმ, PN16 (ტურბინული)	65მმ	ცალი	50
1.9	წყლის მრიცხველი დ-80 მმ, PN16 (ტურბინული)	80მმ	ცალი	10
1.10	წყლის მრიცხველი დ-100 მმ, PN16 (ტურბინული)	100მმ	ცალი	10
1.11	წყლის მრიცხველი დ-150 მმ, PN16 (ტურბინული)	150მმ	ცალი	5
2	AMR- გადამცემი	მრიცხველის გადამცემი მოწყობილობა (რადიომოდული), რათა დისტანციურად აღრიცხოს მრიცხველის ჩვენება; ჰერმეტიულობა IP68, მოდულაცია - GFSK	ცალი	2,000
3	თერმულად იზოლირებული წყლის მრიცხველის ყუთები	მრიცხველები შემდეგი დიამეტრებით - 15მმ, 20მმ და 25 მმ - უნდა მოთავსდეს ყუთებში	ცალი	100

3. მინიმალური მთავარი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- ა) **საკონტრაქტო გამოცდილება:** ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში მთავარი მომწოდებლის სახით **სულ მცირე 1 (ერთი) კონტრაქტის** წარმატებით დასრულება, რომლის მინიმალური ღირებულებაა **520,000.00 აშშ დოლარი**, მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი) აღწერილი მოწოდების ბუნების, სირთულისა და მასშტაბის მსგავსი (ერთიანი საწარმოს შემთხვევაში: ყველა პარტნიორმა ერთად უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა);
- ბ) **ტექნიკური გამოცდილება:** პრეტენდენტმა უნდა უჩვენოს, რომ შემოთავაზებული საქონელი:
  - i. წარმოებს სულ მცირე **5 წელია** და
  - ii. გაყიდულია მინიმუმ **100 000 ცალი** მსგავსი ტიპისა და სპეციფიკაციის მქონე საქონელი **ბოლო სამი (3) წლის** განმავლობაში;
  - iii. ოპერირებს მინიმუმ **3 წელია**
  - iv. დოკუმენტი, რომელიც უჩვენებს, რომ მომწოდებელი წარმოდგენილია ან აქვს კავშირი საქართველოში ადგილობრივ პროვაიდერთან.

- ) **წარმოების შესაძლებლობა:** პრეტენდენტმა ან მწარმოებელმა უნდა უჩვენოს, რომ შეუძლია მოაწოდოს შემსყიდველისათვის საჭირო ტიპის, ზომისა და რაოდენობის საქონელი მე-6 სექციაში მოცემული მიწოდებისა და დასრულების გრაფიკის პირობების მიხედვით.
- ) **ისტორიული ფინანსური მდგომარეობა:** აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის სამართალი ასე არ მოითხოვს, შემსყიდველისათვის მისაღები სხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა **ბოლო სამი (3) წლის** განმავლობაში, რათა დადასტურდეს პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, ბოლო წლის გამოთვლილი პრეტენდენტის წმინდა ღირებულება, რომელიც გამოითვლება საერთო აქტივებსა და საერთო ვალდებულებებს შორის სხვაობის სახით, უნდა იყოს დადებითი.
- ) **საშუალო წლიური ბრუნვა:** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა **975,000.00 აშშ დოლარი**, რომელიც გამოითვლება, როგორც ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტისათვის პრეტენდენტის მიერ მიღებული საერთო გადახდები (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა - 40%);
- ) **ფულადი სახსრების ბრუნვა:** **440,000.00 აშშ დოლარის** ოდენობის ფულად სახსრებზე წვდომისათვის ლიკვიდირებული აქტივების, საკრედიტო ხაზებისა და სხვა ფინანსების არსებობა ან ხელმისაწვდომობა.
4. ეროვნული ტენდერი (NCB) წარმართება **სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის** მეშვეობით აზიის განვითარების ბანკის ერთეულისა: ერთკონვერტიანი პრეკვალიფიკაციის გარეშე სატენდერო პროცედურების მიხედვით. ტენდერი ღიაა უფლებამოსილი ქვეყნის ყველა პრეტენდენტისათვის.
  5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმებისათვის პრეტენდენტებმა უნდა გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა - [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
  6. სატენდერო დოკუმენტები ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში და შესაძლებელია მათი უფასოდ გადმოწერა 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 2 ოქტომბრამდე.
  7. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2020 წლის 2 ოქტომბერს 15:00 (თბილისის დროით) საათამდე. პრეტენდენტები ვალდებული არიან სატენდერო წინადადების ფასი მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით 2020 წლის 2 ოქტომბერს 15:00 (თბილისის დროით) საათზე.